საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ზლატკინი მარკ იზრაელის ძე

ზლატკინი მარკ იზრაელის ძე [30. VII (12.VIII). 1898, სოფ. გროდოვკა, ახლანდ. დონეცკის ოლქი, – IX. 1995, ისრაელი], ჟურნალისტი, გამომცემლობის მუშაკი. 1925 რუსეთიდან მოავლინეს თბილისში ცენტრ. გამომცემლობების „იზვესტიის", „პრავდის" და „ტრუდის" ამიერკავკ. განყ-ბის გამგედ და მისი ცხოვრება სამუდამოდ დაუკავშირდა საქართველოს, მის ლიტ-რასა და კულტურას. იყო გამომც. „ზარია ვოსტოკას" დირექტორი, 1963-იდან – გამომც. „მერანის" რუს. გამოცემათა რედაქციის მთ. რედაქტორი, 1985-იდან – ამ გამომცემლობის მთ. კონსულტანტი. ზ. ქართ. ლიტ-რის პოპულარიზატორი იყო. ავტორია ორიგინ. ჟანრის თხზულებისა „როცა წიგნი ხალხებს აახლოებს" (რუს. ენაზე, 1972, 1979), რ-იც თავისებური მატიანეა 20–70-იანი წლების *ლიტ.* მოვლენებისა. 1983 რუს. და 1986 ქართ. ენაზე გამოვიდა ზ-ის წიგნი „მათი მოსაგონარი ჩანახატები", რ-შიც მოცემულია ა. აბაშელის, კ. გამსახურდიას, ნ. ტიხონოვის, ლ. გუდიაშვილის, ვ. გოლცევის, ბ. ჯღენტის, ნ. ზაბოლოცკის, გ. ლეონიძის, მ. მრევლიშვილის, ლ. კალანდაძის, შ. ნუცუბიძის, კ. სიმონოვის, დ. შენგელაიას *ლიტ.* სახეები.

ვ. შადური